პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი
№ 243 (13935) | კვირა, 15 ოქტომბერი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ ახალი გამარჯვებებისაკენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის

1. გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვან 50 წლისთავს!

2. გაუმარჯოს დიდ ოქტომბერს, რომელმაც დაიწყო მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა — მსოფლიოს საყოველთაო რევოლუციური განახლების, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ეპოქა!

3. გაუმარჯოს დიდ ოქტომბერს, რომელმაც სამუდამოდ გაათავისუფლა ჩვენი ქვეყნის ხალხები კაპიტალისტური მონობისა და ეროვნული ჩაგვრისაგან!

4. გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლუციას, რომელმაც მშრომელებს მოუტანა დიდი სოციალური სიკეთენი — შრომის, განათლების, დასვენების, ჯანმრთელობის დაცვის, მოხუცებულობაში უზრუნველყოფის უფლება, კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესება!

5. გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის იდეურ დროშას, ყველა ქვეყნის მშრომელთა გზის მანათობელ ვარსკვლავს, კლასობრივი და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში!

6. დაე საუკუნეებში ცოცხლობდეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის, კომუნისტური პარტიის ბელადის, მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს ხელმძღვანელის — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელი!

7. დიდება დიდ საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის სახელოვან მშენებელს, მშრომელთა თავისუფლებისათვის, მშვიდობისა და ბედნიერებისათვის მამაც მებრძოლს!

8. დაე მარად ცოცხლობდეს ხალხის ხსოვნაში ბოლშევიკ-ლენინელების, ოქტომბრისა და სამოქალაქო ომის გმირების, სოციალიზმის გამარჯვებისათვის ყველა უშიშარი მებრძოლის გმირული საქმენი!

9. დიდება კლასობრივ ძმებს, უცხოეთის ქვეყნების ინტერნაციონალისტებს, რომლებმაც აღმართეს საბრძოლო დროშა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის მხარდასაჭერად, გმირულად იბრძოდნენ წითელი არმიის რიგებში ინტერვენტთა და თეთრგვარდიელთა ურდოების წინააღმდეგ!

10. დიდება გმირ საბჭოთა მეომრებს, დიდი სამამულო ომის პარტიზანებსა და იატაკქვეშელებს!

11. სამარადისო ხსოვნა გმირებს, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს რევოლუციის გამარჯვებას, ჩვენი სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას!

12. დიდება პირველი ხუთწლედების მშენებლებს — ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის მამაც მებრძოლებს!

13. გაუმარჯოს საბჭოთა ქვეყნის გმირ მუშათა კლასს — მოწინავე და წამყვან შემოქმედ ძალას სსრ კავშირში კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში!

14. გაუმარჯოს გმირ კოლმეურნე გლეხობას — კომუნიზმის აქტიურ მშენებელს!

15. დაე მტკიცდებოდეს და აყვავდეს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირი — საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ურღვევი საფუძველი!

16. გაუმარჯოს სახელოვან საბჭოთა ინტელიგენციას — ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის აქტიურ მონაწილეს!

17. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ კომუნისტურ პარტიას — ძლევამოსილი პროლეტარული რევოლუციის ბელადს, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

18. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! უფრო მჭიდროდ შეკავშირდით კომუნისტური პარტიის ლენინური დროშით!

გაუმარჯოს პარტიისა და ხალხის დიად და ურღვევ ერთიანობას!

19. გაუმარჯოს დიდი ოქტომბრით შობილ ჩვენს მშობლიურ მრავალეროვან საბჭოთა სოციალისტურ სახელმწიფოს!

20. გაუმარჯოს მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს — ხელისუფლების ნამდვილად სახალხო ორგანოებს!

დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა სოციალისტური დემოკრატია, იზრდებოდეს მშრომელთა აქტივობა ჩვენი ქვეყნის საქმეების მართვაში!

21. დაე მარად ცოცხლობდეს და აყვავდეს სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა და ურღვევი ერთიანობა — ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დიადი მონაპოვარი!

22. გაუმარჯოს საბჭოთა პროფკავშირებს — მართვის და მეურნეობის გაძღოლის სკოლას, კომუნიზმის სკოლას!

23. გაუმარჯოს საბჭოთა ქალებს — კომუნისტური საზოგადოების აქტიურ მშენებლებს!

24. გაუმარჯოს ლენინურ კომკავშირს — კომუნისტური პარტიის ერთგულ თანაშემწეს და რეზერვს, კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა მოწინავე რაზმს!

25. ქალიშვილებო და ჭაბუკებო! იყავით დიდი ოქტომბრის რევოლუციური ტრადიციების ერთგული განმგრძობნი! იბრძოლეთ კომუნისტური იდეალების გამარჯვებისათვის!

26. პიონერებო და მოსწავლეებო! კარგად ისწავლეთ, გიყვარდეთ და პატივი ეცით შრომას! ემზადეთ გახდეთ ლენინის საქმისათვის, კომუნიზმისათვის აქტიური მებრძოლნი!

27. გაუმარჯოს გამარჯვებათა დიდებით მოსილ მამაც საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც დგანან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა, სოციალიზმის მონაპოვართა სადარაჯოზე!

28. საბჭოთა კავშირის ხალხებო! კომუნიზმის მშენებლობა ჩვენი პატრიოტული და ინტერნაციონალური მოვალეობაა! მთელი ძალღონე მოახმარეთ პარტიის პროგრამითა და სკკპ XXIII ყრილობის მიერ დასახული კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით შესრულებას!

29. დიდება დიდი ოქტომბრის ორმოცდაათი წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ მოწინავე კოლექტივებს! უფრო მაღლა ავწიოთ ხუთწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლის დროშა!

მხურვალე სალამი კომუნისტური შრომის დამკვრელებსა და კოლექტივებს!

30. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! იბრძოლეთ სახალხო მეურნეობის — ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლების საფუძვლის განუხრელი ზრდისათვის!

31. მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! უფრო სრულად გამოიყენეთ სოციალიზმის უპირატესობანი და შესაძლებლობანი! იბრძოლეთ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის!

32. კოლმეურნეებო, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებო! მიაღწიეთ სოფლის მეურნეობის განვითარების მაღალ და მყარ ტემპებს! იბრძოლეთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის!

33. საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და ვაჭრობის მუშაკებო! ყველა ღონისძიებით გაუმჯობესეთ მოსახლეობის მომსახურების სამუშაოთა ხარისხი და აამაღლეთ მისი კულტურა, უფრო სრულად და უკეთ დააკმაყოფილეთ საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილებანი!

34. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! მტკიცედ იბრძოლეთ შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის, სოციალისტური დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცებისათვის!

35. მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო, სოფლის მეურნეობის მშრომელებო! განუხრელად გაადიდეთ შრომის ნაყოფიერება — ყველაზე დიდმნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარი ახალი საზოგადოებრივი წყობილების — კომუნიზმის გამარჯვებისათვის!

36. მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესეთ პროდუქციის ხარისხი, მტკიცედ შეამცირეთ მისი თვითღირებულება!

37. მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო, სოფლის მეურნეობის მშრომელებო! განახორციელეთ წარმოების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია! მტკიცედ დანერგეთ სახალხო მეურნეობაში შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, მეცნიერების, ტექნიკის უახლესი მიღწევები და მოწინავე გამოცდილება!

38. მეცნიერებისა და ტექნიკის მოღვაწენო! უფრო აქტიურად იბრძოლეთ ჩვენი სამშობლოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, მეცნიერების შემდგომი აყვავებისათვის!

39. ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენო! მაღლა გეჭიროთ საბჭოთა ხელოვნების პარტიულობის, ხალხურობის, იდეურობის დროშა, სრულყავით თქვენი მხატვრული ოსტატობა, მთელი ძალღონე და ნიჭი მოახმარეთ კომუნიზმის მშენებელთა პოლიტიკურ, ზნეობრივ, ესთეტიკურ აღზრდას!

40. განათლებისა და კულტურის მუშაკებო! სრულყავით სახალხო განათლება, გაავრცელეთ კულტურა მასებში! ჩაუნერგეთ მოზარდ თაობას შრომისმოყვარეობა, კოლექტივიზმი, კომუნიზმის საქმისადმი ერთგულება!

41. მგზნებარე ძმური სალამი კომუნისტურ და მუშათა პარტიებს — მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა მებრძოლ ავანგარდს, ქვეყნად კაცობრიობის ნათელი ოცნების — კომუნიზმის დამკვიდრებისათვის მამაც მებრძოლებს!

42. დაე მტკიცდებოდეს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა და შეკავშირება მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე!

43. ძმური სალამი სოციალიზმის მშენებელი სოციალისტური ქვეყნების ხალხებს!

44. გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ სისტემას — ოქტომბრის დიადი საქმის გამარჯვებას, საერთაშორისო მუშათა კლასის ისტორიულ მონაპოვარს!

დაე მტკიცდებოდეს სოციალიზმის ქვეყნების შეკავშირება, ძმური მეგობრობა და ერთიანობა!

45. ძმური სალამი კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასს — მონოპოლისტური კაპიტალის წინააღმდეგ, მშრომელთა პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური უფლებებისათვის, სოციალისტური იდეალების გამარჯვებისათვის მამაც მებრძოლს!

46. გაუმარჯოს და მტკიცდებოდეს სოციალიზმის ძალებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კავშირი — იმპერიალიზმის წინააღმდეგ, თავისუფლებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის ხალხთა ბრძოლის წარმატების საწინდარი!

47. გაუმარჯოს სოციალისტური ქვეყნებისა და თანამედროვეობის მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების საბრძოლო კავშირს!

48. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

49. მხურვალე სალამი ახალგაზრდა ეროვნულ სახელმწიფოთა ხალხებს, რომლებიც იბრძვიან იმპერიალიზმის წინააღმდეგ დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, სოციალური განვითარების პროგრესული გზისათვის!

50. მხურვალე სალამი კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხებს, რომლებიც გმირულ ბრძოლას ეწევიან იმპერიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის!

51. მსოფლიოს ხალხებო! გააძლიერეთ ბრძოლა მილიტარიზმისა და ფაშიზმის წინააღმდეგ, იმპერიალისტ აგრესორთა წინააღმდეგ!

52. ძმური სალამი მამაც ვიეტნამელ ხალხს, რომელიც გმირულად იბრძვის ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიის წინააღმდეგ!

გაუმარჯოს მებრძოლ ვიეტნამთან საერთაშორისო სოლიდარობას! სირცხვილი ამერიკელ აგრესორებს!

53. დაე მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს საბჭოთა ხალხის სოლიდარობა არაბული ქვეყნების ხალხებთან, რომლებიც იბრძვიან იმპერიალიზმის მიერ ხელყოფის წინააღმდეგ, ისრაელის აგრესიის შედეგების სრული ლიკვიდაციისათვის!

54. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ საგარეო პოლიტიკას — ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკას, რეაქციისა და ომის წინააღმდეგ ბრძოლაში მთელი ანტიიმპერიალისტური მშვიდობისმოყვარე ძალების შეკავშირების პოლიტიკას!

55. გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს — ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და ბედნიერების ბურჯს, მშვიდობისა და პროგრესის საიმედო დასაყრდენს!

56. მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ ახალი გამარჯვებებისაკენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში!

57. გაუმარჯოს კომუნიზმს — კაცობრიობის ნათელ მომავალს!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

შეხვედრა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

11 ოქტომბერს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში სკკპ ცენტრალური კომიტეტის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის **ლ. ი. ბრეჟნევის,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ცენტრალური კომიტეტის მდივნის **მ. ა. სუსლოვისა** და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის **ბ. ნ. პონომარიოვის** შემადგენლობით შეხვდა დანიის კომუნისტური პარტიის დელეგაციას, რომლის შემადგენლობაშიც შედიან პარტიის თავმჯდომარე **კნუდ ეს-პერსენი,** დანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები **იბ ნერლუნდი** და **პოულ ემანუელი,** დანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი **ჰელიუს ლუნდი.**

შეხვედრის დროს, რომელმაც მეგობრულ გათარებაში ჩაიარა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და დანიის კომპარტიის დელეგაციებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები საერთაშორისო მდგომარეობისა და მსოფლიოს კომუნისტური მოძრაობის აქტუალურ საკითხებზე, კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ მათი შეხედულებანი განხილულ საკითხებზე სავსებით ემთხვევა ერთმანეთს.

დანიის კომუნისტური პარტიის დელეგაციამ დანიელ კომუნისტთა სახელით მხურვალედ მიულოცა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, მთელ საბჭოთა ხალხს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მოახლოებული 50 წლისთავი და ხაზგასმით აღნიშნა მისი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ყველა ქვეყნის მუშათა კლასისა და მშრომელებისათვის. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციამ დანიელ ამხანაგებს გააცნო, თე როგორ მიმდინარეობს კომუნისტური მშენებლობა, რა ახალი მიღწევები აქვს თავისი ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ მშენებლობაში საბჭოთა ხალხს, რომელიც ეგებება დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის იუბილეს.

ორივე დელეგაციამ გადაჭრით დაგმო ამერიკის იმპერიალიზმის აგრესია ვიეტნამში და დაადასტურა, რომ მხარს უჭერენ საყოველთაო მოთხოვნას — დაუყოვნებლივ და უთუოდ შეწყდეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა, გაყვანილ იქნან ამერიკის ჯარები სამხრეთ ვიეტნამიდან, მოწესრიგდეს ვიეტნამის საკითხი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცნობილ წინადადებათა საფუძველზე, რომლებიც შეესაბამება ჟენევის შეთანხმებებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და დანიის კომპარტიის დელეგაციები სავსებით უჭერენ მხარს იმ მოთხოვნებს, რომ ლიკვიდირებულ იქნას შედეგები ისრაელის აგრესიისა არაბული სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომ ისრაელმა რაიმე პირობის დაუთქმელად გაიყვანოს ჯარები ამ სახელმწიფოთა ოკუპირებული ტერიტორიებიდან იმ ხაზს იქით, რომელიც მათ აგრესიის დაწყებამდე ეკავათ, და ახლო აღმოსავლეთში დამყარდეს მშვიდობა არაბი ხალხების სუვერენულ უფლებათა პატივისცემისა და ამ რაიონის ყველა სახელმწიფოს ეროვნული დამოუკიდებლობის უფლების ცხობის საფუძველზე.

ორივე პარტიის დელეგაციები გმობენ სამხედრო-ფაშისტურ გადატრიალებას საბერძნეთში და მთელ პროგრესულ ძალებთან ერთად დაბეჯითებით მოითხოვენ საბერძნეთში პოლიტიკური ტერორის დაუყოვნებლივ შეწყვეტას და ყველა დემოკრატის განთავისუფლებას.

დანიის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წარომადგენლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, თე რა დიდი მნიშვნელობა აქვს ევრპაში მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის ღონისძიებათა პროგრამას, რომელიც ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების კარლოვი ვარის კონფერენციამ შეიმუშავა.

აღინიშნა, რომ ევროპის, კერძოდ დანიის, ხალხთა უშიშროებისათვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს დასავლეთ გერმანიის რევანშიზმი და მილიტარიზმი, რომელიც ნატოს ძირითადი დამკვრელი ძალა გახდა.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

15 ოქტომბერს მონრეალის გამოფენაზე „საქართველოს დღეა“

სურათზე: საქართველოს სსრ დელეგაცია საბჭოთა პავილიონში „ექსპო-67“-ზე ქ. თბილისის ფერად ფოტოპანორამასთან.

ფოტო ე. პესოვისა (ახალი ამბების საგენტო).

ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. კოსიგინი და ნ. ვ. პოდგორნი ვოლგოგრადში გაემგზავრნენ

14 ოქტომბერს მოსკოვიდან ვოლგოგრადს გაემგზავრნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. კოსიგინი და ნ. ვ. პოდგორნი, რათა მონაწილეობა მიიღონ ქალაქ ვოლგოგრადში სტალინგრადის ბრძოლის გმირთა ძეგლ-ანსამბლის საზეიმო გახსნაში. (საკ. სინ.).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, დასვენების დღე კვირიდან — 1967 წლის 5 ნოემბრიდან გადატანილია ოთხშაბათისათვის, 9 ნოემბრისათვის.

შედეგები და პერსპექტივები

გამოვიდა კრებული „შედეგები და პერსპექტივები. სოფლის მეურნეობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის შემდეგ“. კრებული ეძღვნება ჩვენი პარტიის აგრარული პოლიტიკის აქტუალურ საკითხებს. წიგნის ძირითად შინაარსს შეადგენენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების თეორიული და პრაქტიკული საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის (1965 წლის) პლენუმისა და პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებთან.

წიგნში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მატერიალურ სტიმულირებას, დაგეგმვას, საქონლურ-ფულადი ურთიერთობის გამოყენებას სოფლის მეურნეობის დარგში.

კრებული გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ვ. ა. გოლიკოვის საერთო რედაქციით. (საკ. სინ.).

მონრეალის გამოფენაზე

მონრეალის საერთაშორისო გამოფენაზე საბჭოთა პავილიონის წინ მუდამ ბევრი ხალხია. უწყვეტ ნაკადად მოედინებიან კანადაში ჩამოსული სტუმრები. მათ აინტერესებთ თავიანთი თვალით ნახონ მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო, ქვეყანა, რომელმაც თავისი მიღწევებით შეძრა მსოფლიო. იმოგზაურონ საბჭოთა კავშირში, ექსპოზიციაში ხომ მინიატიურული ფორმით წარმოდგენილია მთელი ჩვენი ქვეყანა. გაეცნონ საბჭოთა ხალხის ცხოვრებას, მის მიღწევებს ეკონომიკისა და კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგში.

მონრეალის საერთაშორისო გამოფენის მეხსეურები უკვე მიეჩვევნენ საბჭოთა პავილიონში სხვადასხვა რესპუბლიკის ზეიმის დღეების აღნიშვნას.

დღეს, 15 ოქტომბერს, საბჭოთა პავილიონში საქართველოს რესპუბლიკის დღეა. ზეიმში მონაწილეობის მისაღებად მონრეალში უკვე რამდენიმე დღეა იმყოფება საქართველოს დელეგაცია რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით.

ჩვენი გაზეთის მკითხველებს, ბუნებრივია, აინტერესებთ გაიგონ, როგორ მოეწყობა საქართველოს ზეიმის დღე, რას ნახავენ გამოფენაზე მოსული მრავალრიცხოვანი დამთვალიერებლები. სანამ კანადიდან მივიღებდეთ ზეიმის ანგარიშს, წინასწარ მოგითხრობთ, როგორ აღინიშნება საქართველოს დღე, რა ექსპონატებია გამოფენაზე გაგზავნილი.

ამ დღეს საბჭოთა პავილიონის თავზე აფრიალდება საქართველოს სახელმწიფო ალმი, აჟღერდება საქართველოს ჰიმნი. საზეიმო ცერემონიალის დამთავრების შემდეგ სტუმართა დიდი ჯგუფი გაემართება საბჭოთა პავილიონისაკენ. შესასვლელში მათ მიეგებებიან ქართულ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდები. ისინი სტუმრებს გადასცემენ სამახსოვრო სამკერდე ნიშნებს, დაურიგებენ ფრანგულ და ინგლისურ ენებზე გამოსულ ბუკლეტებს — „საბჭოთა საქართველოს“,

საბჭოთა პავილიონის დღევანდელი ექსპოზიცია მნახველს საშუალებას მისცემს იმოგზაუროს ჩვენს რესპუბლიკაში. აქ წარმოდგენილი ექსპონატები დამთვალიერებლებს მოუთხრობენ, რა განვითარებას მიაღწია წინათ ჩამორჩენილმა აგრარულმა ქვეყანამ საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

მომსვლელთა ყურადღებას უთუოდ მიიქცევს საქართველოს სსრ რელიეფური რუკა, სადაც ნაჩვენებია ჩვენი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის მიღწევები, საქართველოს კურორტები და სხვ. აქვე გამოფენილი ფოტომასალა თვალნათლივ გაიცნობს სტუმრებს ჩვენი ხალხის შრომითს საქმიანობასა და დასვენებას, ხელოვნებასა და სპორტს, საქართველოს უძველეს ხუროთმოძღვრულ ძეგლებს და დღევანდელი საბჭოთა საქართველოს შვილთა სიხალსავსე ცხოვრებას.

ექსპოზიციის დათვალიერებისას პავილიონში დაირხევა ქართული მელოდიები. სტუმრები მოისმენენ როგორც ძველ ქართულ ხალხურ სიმღერებს, ისე თანამედროვე ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს.

სპეციალურ დარბაზში გამოფენილი იქნება საქართველოს სახვითი ხელოვნების ნამუშევრები. აქ წარმოდგენილია საქართველოს სახალხო მხატვრს ლ. გუდიაშვილის, საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრების რ. თარხან-მოურავის, დ. ნოდიას, ნ. ფალავანდიშვილის, ე. მეძმარიაშვილის, თ. ყუბანეიშვილის, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ე. ბალდაკვაძის, საქართველოს დამსახურებული მხატვრების ლ. ძაძამიძის, მ. ხვიტიასა და სხვათა გრაფიკული და ფერწერული ნამუშევრები. ჰედუროიდან გამოფენილია საქართველოს დამსახურებული მხატვრის ი. ოჩიაურის, კ. გურულის, გ. გაბაშვილის, ნ. შავგულიძის, დ. ყიფშიძის და სხვა ოსტატების ნამუშევრები.

გამოფენაზე ფართოდ არის წარმოდგენილი ქართული კერამიკა — სხვადასხვა სახმისები, ფიალები, ჭინჭილები, ვაზები, რომელთა ავტორები არიან საქართველოს დამსახურებული მხატვრები ს. სულხანიშვილი, ე. ბაბლიძე, მხატვარი კერამიკოსები ე. ფოჩხიძე, ა. კაკაბაძე, რ. მეტრეველი და სხვ. აგრეთვე ფართოდ არის გამოტანილი თბილისის და მცხეთის კერამიკული კომბინატებისა და საქართველოს სხვა საწარმოების ექსპონატები, რომელთა შეძენა დამთვალიერებლებს იქვე შეუძლიათ.

ლამაზი, მიმზიდველი ნამუშევრები გაგზავნა გამოფენაზე თბილისის საიუველირო ფაბრიკამ. ეს არის ქართული ორნამენტებით მოჭედილი ფილიგანი, ვერცხლის აზარფეშები, ყანწები, სამკაულები და სხვ.

ცალკე კუთხე აქვს დათმობილი ქართულ წიგნს, აქ არის მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე გამოცემული ქართველ მწერალთა ნაწარმოებები, ლამაზად დასურათებული ალბომები, ბუკლეტები, გზამკვლევები, ქართული ხუროთმოძღვრების უძველეს ძეგლებზე, სამრეწველო ცენტრებზე, გაზეთები, ჟურნალები და სხვ. ეს ლიტერატურა დამთვალიერებლებს აქვე შეუძლიათ შეიძინონ.

ამ დღეს საბჭოთა პავილიონში მომსვლელთ თავის ხელოვნებას გააცნობს მონრეალში სპეციალურად ჩასული საქართველოს ხელოვნების ოსტატთა და მსახიობთა დიდი ჯგუფი. ესენი არიან ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სოლისტები, ფილარმონიის მსახიობები 30 კაცის შემადგენლობით.

კინოდარბაზში ნაჩვენები იქნება მხატვრული ფილმები „ჯარისკაცის მამა“, „ქორწილი“, დოკუმენტური ფილმები „ქართული მელოდიები“, „ანარეკლი“ და სხვ.

ტელეეკრანებზე მაყურებლები ნახავენ საქართველოს ულამაზეს ადგილებს, საქართველოს კოლმეურნეთა შრომითს საქმიანობას. საქართველოს ტელევიზიის სპეციალური გადაცემები ფართოდ გააცნობენ ჩვენს მიღწევებს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, ჩვენს სახელგანთქმულ მეცნიერებს, ქართველი ხალხის ცხოვრებას.

ამ დღეს კიდევ უფრო ფართოდ გაიღება საბჭოთა პავილიონის რესტორნის კარი. ქართველი მზარეულები სანანქებო კერძებით გაუმასპინძლდებიან სტუმრებს. დარბაზში დაირხევა ხალხური სუფრული სიმღერები, „მრავალჟამიერ“, და მასპინძლებიც მრავალჟამს სიცოცხლეს უსურვებენ კეთილად მოსულ სტუმრებს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მონრეალი. მსოფლიო გამოფენა „ექსპო-67“. საბჭოთა პავილიონის შესასვლელი.

ფოტო ე. პესოვისა (ახალი ამბების სააგენტო).

შეხვედრა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

(დასასრული)

ორივე პარტიის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ამჟამად მიმართულებ ცდებს მოადუნონ ხალხთა სიფხიზლე გაცხადებებით, თითქოს ნატოს შენარჩუნება ხელს უწყობდეს „დაძაბულობის აღმოფხვრას ევროპაში“ და ემსახურებოდეს „ურთიერთგაგებას დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის“. ნატოს ორსეებობის წლების მანძილზე ევროპაში მოვლენათა მთელი განვითარება უცილობლად მოწმობს, რომ ეს აგრესიული ორგანიზაცია დაძაბულობის მთავარი წყაროა ევროპის კონტინენტზე და რომ ამ რაიონში მთელი ვითარების ძირეული გაჯანსაღების ინტერესები მოითხოვს მის ლიკვიდაციასა და აგრესიული ბლოკების პოლიტიკის უარყოფას, ხელის აღებას.

დანიის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ დანიის კომპარტია თავისი ქვეყნის სხვა პროგრესულ ძალებთან ერთად აქტიურად მოითხოვს, რომ დანია გამოვიდეს ნატოდან და სხვა ჩრდილოეთის ქვეყნებთან ერთად შექმნას ნეიტრალური უატომო ზონა, რომლის უშიშროებასა და ხელშეუხებლობას უზრუნველყოფდა შესაბამისი სახელმწიფოების კოლექტიურ გარანტიათა სისტემა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციამ დაადასტურა, რომ თუ დანია მოისურვებს განსახორციელოს ნეიტრალიტეტისა და საშვიდრო დაჯგუფებებში მონაწილეობის მიუღებლობის პოლიტიკა, საბჭოთა კავშირი შეძლებს იკისროს ვალდებულება პატივი სცეს დანიის ნეიტრალიტეტს და სხვა სახელმწიფოებთან ერთად მიიღოს მონაწილეობა ამ ქვეყნის უშიშროებისა და ხელშეუხებლობის გარანტიის საქმეში.

ორივე პარტიის დელეგაციებმა განაცხადეს, რომ უარყოფითად ეკიდებიან მოიპოლოსტური წრეების ცდებს, დაალმაფონ ევროპის „თთმეა „საერთო ბაზრის“ ტიპის კარდახშულ დაჯგუფებთა სფეროს გაფართოების გზით, როდგან ეს ეწინააღმდეგება ევროპის ხალხთა, ეროვნულ დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში. ასეთი ერთიანობის განცხადებებს ხელს შეუწყობდა კომუნისტური და მუშათა პარტიების ახალი საერთაშორისო თათბირი, რომელიც საგულდაგულოდ და ყოველმხრივ უნდა იყოს მომზადებული.

დანიის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციებმა ამაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ ჩვენს პარტიებს შორის ძმური ურთიერთობა წარმატებით ვითარდება პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით დანიისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა, მშვიდობისა და სოციალური პროგრესის საქმის სასიკეთოდ. დანიის კომუნისტური პარტიის დელეგაციამ სთხოვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციას მადლობით დათანხმდა ამ მიწვევაზე.

ახალი ექსპერიმენტი კოსმოსში

დედამიწისირგვლივ კოსმოსური სივრცის კვლევის პროგრამის შესაბამისად 1967 წლის 12 ოქტომბერს საბჭოთა კავშირში კოსმოსური მატარებელი რაკეტის საშუალებით გაუშვეს აპარატი „ვერტიკალური კოსმოსური ზონდი“.

მატარებელი რაკეტის უკანასკნელმა საფეხურმა აპარატი გაიყვანა 4.400 კილომეტრ სიმაღლეზე.

აპარატ „ვერტიკალური კოსმოსური ზონდის“ გაშვების მიზანია დედამიწის ატმოსფეროსა და იონოსფეროს ზედა ფენების და დედამიწისირგვლივი კოსმოსური სივრცის შემდგომი შესწავლა ვერტიკალური ზონდვის მეთოდით.

ექსპერიმენტის ძირითადი ამოცანა იყო მიგვეღო მონაცემები, თუ როგორ არის განაწილებული სიმაღლის მიხედვით შემდგომი პარამეტრები: ისეთი მოვლენების მახასიათებლები, როგორიცაა იონოსფერო (ელექტრონებისა და დადებითი იონების კონცენტრაცია, ელექტრონების ტემპერატურა); რადიაციის სარტყლებში ფრენის დროს სხვადასხვა დაცვის პირობებში კოსმოსური სხივებისა და რადიაციის დოზების საერთო ინტენსივობა; ნეიტრალური წყალბადის სიმკვრივე.

დაუმახინჯებელი გაზომვების მისაღებად აპარატის კონსტრუქცია დამზადებული იყო სპეციალური მასალებისაგან, ხოლო მატარებელი რაკეტა მას შემდეგ, რაც აპარატი გაიყვანა გათვალისწინებულ ტრაექტორიაზე, ძრავის დანადგარის საშუალებით დიდი მანძილით მოაშორეს მას, რის შედეგად აპარატი და მატარებელი რაკეტის უკანასკნელი საფეხური აღარ გამოაყოფდნენ გაზებს საკვლევ გარემოში.

ფრენის დროს აპარატის ყველა სამეცნიერო ხელსაწყო და სისტემა ნორმალურად მუშაობდა.

სამეცნიერო კვლევის პროგრამა მთლიანად შესრულდა, მიღებულ ინფორმაციას ამუშავებენ. ასეთ სიმაღლეებზე ამგვარი კომპლექსური კვლევა პირველად განხორციელდა და დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს. (საკდესი).



სოსნოვცი (პოლონეთი). მონუმენტის გახსნა, რომელიც მიძღვნილია დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50-ე წლისთავისადმი. ფოტო ცაფი-საკდესისა.

შვიდბალიანი მიწისძვრა

ტოკიო, 14 ოქტომბერი. (საკდესი). შაბათს დილაადრიან ნაგანოს პრეფექტურის (ცენტრალური იაპონია) ჩრდილოეთ ნაწილის მცხოვრებლები გააღვიძა მნიშვნელოვანი ძალის მიწისძვრამ ბიძგებმა.

ქალაქ ნაგანოს ობსერვატორია იუწყება, რომ დღევანდელი მიწისძვრის ეპიცენტრი იყო ქალაქ კოსიოკუს ახლოს და იაპონიაში მიღებული 7-ბალიანი სკალით ხუთ ბალს უდრიდა.

ნაგანოდან იტყობინებიან, რომ მიწისძვრის შედეგად შეჩერდა მოძრაობა ზოგიერთ რკინიგზაზე, დაზიანებულია საცხოვრებელი სახლების სახურავები და კედლები.

იაპონიის მოსახლეობა

ტოკიო. 14 ოქტომბერი. (საკდესი). 1967 წლის 1 აგვისტოსათვის იაპონიის მოსახლეობა იყო 100 მილიონ 22 ათას 196 კაცი, იუწყება დღეს პრემიერ-მინისტრის კანცელარიასთან არსებული სტატისტიკური ბიურო.

ამ ციფრში შევიდა 600 ათასი უცხოელი, უმთავრესად კორეელები, რომლებიც იაპონიაში ცხოვრობენ.

გარდა ამისა, სტატისტიკური ბიუროს მონაცემები არ ითვალისწინებენ 280 ათას იაპონელს, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობენ, და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ოკუპირებულ რიუკიუს კუნძულებზე მცხოვრებ 950 ათას კაცს.

1966 წლის აგვისტოდან 1967 წლის აგვისტომდე, სტატისტიკური ბიუროს მონაცემებით, იაპონიის მოსახლეობა უოველთვიურად იზრდებოდა 100 ათასი კაცით.

ამჟამად იაპონიას მეშვიდე ადგილი უკავია მსოფლიოში მოსახლეობის რიცხვით.

გენერალურ ასამბლეაზე

ნიუ-იორკი, 14 ოქტომბერი. (საკდესი). 100 ათასზე მეტი კვალიფიციური მუშა და ოსტატი მოამზადა საბჭოთა კავშირმა ამ ბოლო წლების მანძილზე განვითარებად ქვეყნებში, განსაკუთრებით გუშინ სსრ კავშირის წარმომადგენელ მ. ლ. ს. ლობანოვმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეორე კომიტეტში, კომიტეტი განიხილავს საკითხს, თუ რა როლს ასრულებს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია განვითარებად ქვეყნებისათვის ეროვნული ტექნიკური კადრების მომზადებაში.

1966 წლის დამდეგს, თქვა შემდეგ ლ. ს. ლობანოვმა, განვითარებად ქვეყნებში მუშაობდა დაახლოებით 16,5 ათასი საბჭოთა სპეციალისტი, რომლებიც ეხმარებოდნენ არა მარტო სამრეწველო საწარმოთა მშენებლობაში, არამედ აგრეთვე მაღალკვალიფიციურ დაგროვილ საქმიანობა. ეს ადგილობრივ სპეციალისტთა მომზადებაში. მაგალითად ინდოეთის ბილაის მეტალურგიული კომბინატის მშენებლობაზე მომზადებული 10 ათასზე მეტი ტექნიკოსი და კვალიფიციური მუშა, არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში ასუანის მაღლივი კაშხალის მშენებლობაზე უკვე მომზადებულია 10 ათასზე მეტი ოსტატი და მუშა, ავღანეთში 30 ათასამდე ავღანელი სწავლობდა საბჭოთა სპეციალისტების ხელმძღვანელობით.

ლ. ს. ლობანოვმა კომიტეტის ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და დასავლეთის სხვა ქვეყნები იბრძვიან სპეციალისტებს აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის განვითარებად ქვეყნებიდან, რაც სერიოზულ ზარალს აყენებს ამ ქვეყნების ეკონომიკას.

საბჭოთა წარმომადგენელმა მოუწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას განსაკუთრებული ყურადღება მიმართოს ადგილობრივ სპეციალისტთა მომზადებისა და ადგილობრივ ტექნიკოსთა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ორგანიზაციის საკითხებზე.

ნიუ-იორკი, 14 ოქტომბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXII სესიაზე, გუშინ დამთავრდა ზოგადპოლიტიკური დისკუსია, რომელშიც მონაწილეობდა 109 დელეგატი. გენერალური ასამბლეის თავმჯდომარემ ჯ. ბეხსკუმ გამოაცხადა ხანმოკლე შესვენება გენერალური ასამბლეის მუშაობაში. მან თქვა, რომ შემდეგ სხდომაზე, რომლის თარიღს დამატებით გამოაცხადებენ, დაიწყება ახალი აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობის განხილვა.

ზოგადმა დისკუსიამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ პოლიტიკურად იზოლირებული არიან. აგრესორები — შეერთებული შტატები ვიეტნამში და ისრაელი — ახლო აღმოსავლეთში.

ორატორთა დიდმა უმრავლესობამ მოითხოვა ვიეტნამის მდგომარეობის მშვიდობიანი მოწესრიგება, ამასთან ასევი მოწესრიგების მთავარ წინასწარ პირობად მიაჩნიათ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვის დაუყოვნებლივ და უპირობად შეწყვეტა. ფილიპინებისა და ტაილანდის გარდა, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ ვიეტნამის წინააღმდეგ აგრესიაში, ასამბლეაზე არავის ამჟამად არ დაუჭერია მხარი ამერიკის აგრესიისათვის და ამერიკის შეერთებული შტატების ერთგულმა მეგობრებმაც კ ორიეს გახეცხადებინათ, რომ საჭიროა საკითხის პოლიტიკური გადაწყვეტა.

ასეთი იზოლაციის ვითარებაში ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია იძულებული გახდა მანევრებისათვის მიემართა და ელაპარაკა ამერიკის შეერთებული შტატების „მშვიდობიან მისწრაფებებზე“ ვიეტნამში, სადაც ამავე დროს გრძელდება აგრესიის ესკალაცია.

არავის არ დაუჭერია მხარი აგრეთვე ისრაელის ცდებისათვის გამოიყენონ ომიანელი ქვეყნების წინააღმდეგ აგრესიული შედეგები. პირიქით, დელეგატების უმრავლესობამ მკაფიოდ და კონკრეტულად მოითხოვა, რომ აღმოიფხვრას ისრაელის აგრესიის შედეგები და უწინარეს ყოვლისა ისრაელმა გაიყვანოს ჯარები ოკუპირებული ტერიტორიებიდან.

საბჭოთა მსახიობები კვიპროსში

ნიკოზია. 14 ოქტომბერი. (საკდესი). კვიპროსში დამთავრდა საბჭოთა მსახიობების ჯგუფის გასტროლები. მოსკოვისა და ლენინგრადის, სომხეთისა და საქართველოს ხელოვნების ოსტატებმა კონცერტები გამართეს ნიკოზიასა და ფამაგუსტაში. ხელოვნების მოყვარულებმა და კვიპროსის გაზეთებმა მაღალი შეფასება მისცეს დიდი თეატრისა და კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის მსახიობთა საშემსრულებლო ოსტატობას. მსმენელები მქუხარე ტაშით აჯილდოვებდნენ - მათს გამოსვლებს და გულწრფელად აღტაცებული იყვნენ. ასევთვე წარმატება ხვდათ წილად სომხეთისა და საქართველოს ოპერისა და ბალეტის თეატრების მსახიობებს.

საბჭოთა მსახიობები ჩინებულად ფლობენ როგორც კლასიკური საბალეტო ცეკვის ტექნიკას, ისევე ხალხური ცეკვების შესრულების ტექნიკას, წერს გაზეთი „ხარავგი“. კვიპროსში გამართულმა კონცერტებმა კიდევ ერთხელ ცხადყვეს საბჭოთა სცენის ოსტატთა უაღრესად მაღალი ხელოვნება. შეგვიძლია მხოლოდ მივესალმოთ კვიპროს-საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების ასეთ ინიციატივას, ხაზგასმით აღნიშნავს „ხარავგი“.

დღეს საბჭოთა მსახიობების ჯგუფი ნიკოზიიდან გაემგზავრა.

დიდი საერთაშორისო რეზონანსი

დიდი საერთაშორისო რეზონანსი აქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მუშაობას. უცხოეთის პრესის გამოხმაურების ნაკადში უწინარეს ყოვლისა თვალში გაცემათ იმის აღიარება, რომ საბჭოთა ეკონომიკა სწრაფი და მყარი ტემპით ვითარდება და ამ საფუძველზე განწყობილივ უმჯობესდება საბჭოთა ხალხის კეთილდღეობა. ჩვენს არაკეთილმოსურნეებსაც კი ბუოეუაზიული პრობაგანდის ბანაკიდან მოუხდათ იმის აღიარება, რომ მიღწეული შედეგები და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების უახლოეს წლებისათვის დასახული გეგმები წინანდელ პროგნოზებზე დიდი აღმოჩნდა.

საბჭოთა კავშირის სამრეწველო წარმოების მოცულობამ, წერს „ფრანკფურტერ ალგემაინე“, აღემატება საგეგმო დავალებებს, ხოლო ცხოვრების დონე უფრო სწრაფად მაღლდება, ვიდრე გათვალისწინებული იყო ხუთწლიანი გეგმის დასაწყისში.

სესიის მასალები, წერს დასავლეთ გერმანიის სხვა გაზეთი „ნოიე რაინ-ციტუნგი“, მოწმობენ, რომ „საბჭოთა კავშირში „ეროვნული ეკონომიკა“ ეფექტიანად ფუნქციონირებს. ეს ეკონომიკა ეფუძნება ეროვნულ ეკონომიკურ ბალანსს, ეროვნულ ფინანსურ ბალანსს, ეროვნულ ფულადი ბალანსს, ეროვნულ ინვესტიციურ ბალანსს, ეროვნულ ბალანსს ნედლეულზე, ეროვნულ ბალანსს ენერგიაზე, ეროვნულ ბალანსს ტრანსპორტზე, ეროვნულ ბალანსს ადამიანურ ძალებზე“.

„ფენომენალური წინადადებანი“, „სსრ კავშირი: სამი მილიონი ახალი ბინა, ხელფასის მომატება და გადასახადების შემცირება“, „მოსკოვი აჩქარებს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებას“, „სწრაფად მაღლდება სსრ კავშირის მოსახლეობის ცხოვრების დონე“ — ასეთი სათაურებით იყო აჭრელებული ამ დღეებში მრავალი ქვეყნის გაზეთები.

ფინეთის „ჰანსან უუტისეტი“ ყურადღებას აქცევს ფაქტს, რომ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის სწრაფი ზრდა ხდება მაშინ, როცა ეკონომიკა დასავლეთში დიდ სიძნელეებს განიცდის. ეს უკანასკნელი გარემოება კიდევ უფრო უსვამს ხაზს საბჭოთა კავშირის წარმატებებს, მის გაბედულ, მტკიცე გეგმებს მომავლისათვის.

ოფსეტს რა უმაღლესი საბჭოს სესიის მნიშვნელობას, უცხოეთის პრესას ღირსშესანიშნავად მიაჩნია, რომ სესია მიმდინარეობდა დედამიწის მთელი პროგრესული ძალების დიდი დღესასწაულის ოქტომბრის 50 წლისთავის წინ. (საკდესი).

ჩინეთის ამბები

დიდი ხნის განმავლობაში ჩინეთის პროპაგანდა მხოლოდ იმას ისახავს მიზნად, რომ დაამკვიდროს მაო ძე-დუნის აბსოლუტური ავტორიტეტი. მისი პიროვნების გაღმერთებამ განსაკუთრებით მახინჯი ფორმები მიიღო „კულტურული რევოლუციის“ დაწყების შემდეგ. ჩინეთის მთელი ისტორიის მანძილზე არც ერთი ჩინელი ბოდიხანი არ ყოფილა გარემოცული პირფერობისა და მლიქნეობის ასეთი ატმოსფეროთი, როგორც ეს კაცი, რომელიც თავის თავს „მარქსიტს“ უწოდებს. „კულტურულ რევოლუციას“ რომ იწყებდნენ, მაო ძე-დუნი და მისი ჯგუფი იმედოვნებდნენ, რომ მაოს კულტზე დაყრდნობით ადვილად გაანადგურებდნენ მოწინააღმდეგეებს პარტიაში, სახელმწიფო აპარატში და მასობრივ ორგანიზაციებში. მაგრამ ეს იმედები აშკარად არ გამართლდათ. და ეს ახლა მაო ძე-დუნის ჯგუფმა გადაწყვიტა მთელი ქვეყნის მასშტაბით კაშაოს ახალი კამპანია „მაოს იდეების დასანერგავად“.

პეკინის გაზეთები მთელ გვერდებს უთმობენ ლოზუნგებს: „გადავაქციოთ მთელი ჩვენი ქვეყანა მაო ძე-დუნის იდეებს შემსწავლელ დიდ სკოლად“ პროპაგანდის გაზეთი „ჟენმინ ჟიბაო“ მოწოდებულ სტატიაში განმარტავს, რომ ამ ლოზუნგის განსახორციელებლად საჭიროა „ჩინეთის ყველა ქარხანა, სოფელი, სასწავლებელი და ჯარის ნაწილი გადავაქციოთ მაოს იდეების წითელ კურსებად“. გაზეთები დიდ ადგილს უთმობენ გამოცდილების გაზიარებას ამ საქმეში. განსაკუთრებულ რეკომენდაციას უწევენ ყოჩაღი ჯარისკაცის ნიან სი-ენის მაგალითს, რომელმაც მძიმე ჭრილობის შედეგად, როგორც „ჟენმინ ჟიბაო“ და სხვა ჩინური გაზეთები წერენ, დაკარგა მეხსიერება — დაივიწყა მშობლები, ნაცნობები და საკუთარი სახელიც კი, მაგრამ ახსოვს მაო ძე-დუნი და შეუძლია ზეპირად წარმოთქვას მისი გამონათქვამები.

გაზეთები წერენ აგრეთვე, რომ უნდა დაინერგოს შასის კომუნის (ძიანსუს პროვინციის ტაიცანის მაზრა) გამოცდილება. ამ კომუნის „თითოეულ ოჯახში შექმნილია მაოს ნაწარმოებებიდან ციტატების შემსწავლელი ჯგუფი“. ციტატებს კითხულობენ ძილის შემდეგ, ჭამის წინ. ჭამის შემდეგ და ძილის წინ. რეკომენდებულია სუფრასთან მაოს ციტატების დაკლამირება. ყველა ჩინელისათვის სამაგალითოდ მოყვანილ აგრეთვე ვინმე ხანშიშესული უშიანური მაღიელი, რომელიც მოფრად მუშაობს ჩინელ დიპლომატებთან, მან „დაძლია ყველა ხუთი ჩინური იერარქიული სწორად წერა: „გაუმარჯოს მაოს!“.

გაზეთების მიერ რეკომენდებული მთავარი მეთოდია ციტატების დასწავლა. ახალგაზრდობას მოუწოდებენ კი არ იმსჯელონ, არამედ ბრმად დაემორჩილონ მაოს, რომელიც ყველაზე ფიქრობს. უცხოელ კორესპონდენტთა ცნობებში ნახსენებია „კულტურული რევოლუციის შტაბის“ განმარტებანი, რომელნიც ხუნვეიბინ;ბში გავრცელეს. ამ განმარტებათა თანახმად, ისინი ერთნაირი ენთუზიაზმით უნდა ასრულებდნენ „მაო ძე-დუნის არა მარტო იმ მითითებებს, რომლებიც ესმით, არამედ იმასაც, რომლებიც ჯერ-ჯერობით არ ესმით“.

პეკინიდან მიღებული უკანასკნელი ცნობების თანახმად, იქ კვლავ გაჩნდა ხუნვეიბინთა კიდლის გაზეთები — ძაძი ბაო. ეს გაზეთები უკვე ორი კვირაა არ გამოსულა. უცხოეთის კორესპონდენტები ამ დღეებში იუწყებოდნენ პეკინის „რეგოლუციური კომიტეტის“ ბრძანების შესახებ, რომელიც ეკრძალავდა ხუნვეიბინებს თავიანთ ძაძი ბაოებში მოეყვანათ პროვინციამი მომხდარი არეულობის შესახებ დაწერილებითი ცნობები, ეხსენებინათ ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დირექტივები, რომლებიც არ გამოქვეყნებულა და ეხმარათ „ვულგარული“ გაძოთქმები. წინანდელ ძაძი ბაოებში მათი ყველაზე საყვარელი გამოთქმა იყო — „გავჭეშყოთ მაოს მოწინააღმდეგეთა ძაღლის თავები“. ახალი ძაძი ბაოები შედგენილია უფრო თავშეკავებულად, მაგრამ აზრი იგივე რჩება. ახალ ნომრებში იუწყებიან ცნობებს იმის შესახებ, რომ პეკინის უნივერსიტეტსა, სახალხო უნივერსიტეტსა და დედაქალაქის სხვა პუნქტებში მოხდა შეტაკებანი, აგრეთვე გაძლიერდა შანსის პროვინციაში მაო ძე-დუნის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა ბრძოლა. (საკდესი). 14 ოქტომბერი).

ციკლონის შედეგები ინდოეთში

დელი. 13 ოქტომბერი. (საკდესი). უკანასკნელი მონაცემებით, 250 კაცი დაიღუპა და თითქმის მილიონი ადამიანი დარჩა უსახლ-კაროდ ძლიერი ციკლონის შედეგად, რომელიც თავს დაატყდა ინდოეთის აღმოსავლეთ სანაპიროს, დაიხოცა აგრეთვე დიდძალი პირუტყვი, დაინგრა ბევრი სოფელი.

როგორც ორისის შტატის მთავარმა მინისტრმა სინგჰ დეომ განაცხადა, ციკლონმა შტატს მიაყენა მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი.

გმირთა ყრილობა

პარი, 13 ოქტომბერი. (საკდესი). ერთ-ერთ განთავისუფლებულ რაიონში გაიმართა სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების არმიის გმირებისა და მებრძოლების მეორე ყრილობა. ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იმოწმებს განთავისუფლების სააგენტოს და იუწყება: ყრილობამ მოუწოდა განთავისუფლების არმიის ოფიცრებს, მებრძოლებსა და სამხრეთ ვიეტნამის მთელ ხალხს გააძლიერონ ბრძოლა ამერიკელი ინტერვენტებისა და მათი „მოკავშირეების“ წინააღმდეგ და საბოლოო გამარჯვება მოიპოვონ მტერზე.

სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, განთავისუფლების არმიის უმაღლესი მთავარსარდლის მოადგილემ ნგუენ თხი დინმა ყრილობაზე წაიკითხა განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება „განთავისუფლების არმიის გმირის“ წოდების ის 47 ოფიცრისა და მებრძოლისათვის მინიჭების შესახებ, რომლებმაც თავი გამოიჩინეს მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ყრილობის დელეგატებმა დაამტკიცეს ტექსტი წერილისა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ხო ში მინისადმი. წერილში გამოთქმულია განთავისუფლების არმიის მეომართა მტკიცე გადაწყვეტილება გაიმარჯვონ სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისა და ერთგული გაერთიანებისათვის ბრძოლაში.

გენერალური პროკურორის განცხადება

პარიზი. 13 ოქტომბერი. (საკდესი). ინდონეზიის გენერალურმა პროკურორმა გენერალ-მაიორმა სუგიბარტომ დღეს დაადასტურა, რომ სიკვდილით არიან დასჯილი ინდონეზიაში 1965 წლის 30 სექტემბრის წარუმატებელი სამხედრო გადატრიალების ხელმძღვანელი პოდპოლკოვნიკი უნტუნგი, აგრეთვე მაიორი სუფინ, ლეიტენანტი ნგადიმო და მაიორი მულიონო.

როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ჯაკარტიდან იტყობინება, ეს არის ინდონეზიის მთავრობის პირველი ოფიციალური განცხადება 1965 წლის 30 სექტემბრის ამბების მონაწილეთა სიკვდილის განაჩენის სისრულეში მოყვანის შესახებ.

ჩამოგდებულია ლაოსში

ჰანოი, 14 ოქტომბერი. (საკდესი). 30 სექტემბერს ლაოსელმა პატრიოტებმა სიენგკუანგის პროვინციაში ჩამოაგდეს ამერიკის „F-105“ რეაქტიული თვითმფრინავი, როცა ამერიკის ავიაცია ბომბავდა პროვინციის მჭიდროდ დასახლებულ რაიონებს.

ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იმოწმებს რადიო „პატეტ-ლაოს ხმას“ და იუწყება, რომ ამ დღეს პატრიოტებმა მოსპეს აგრეთვე ორი ამერიკული სატრანსპორტო თვითმფრინავი.

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 14 ოქტომბერი. (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის საპარლამენტო ჯგუფმა ეროვნული კრების განსახილველ

სახალხო სუფრისათვის

საუბარი საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრ ვ. ვადაჭკორიასთან

კვებენიმ კვირა ვაკვეთრებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რეგოლუციის 50 წლისთავს. ამ დიდი თარიღის აღსანიშნავად ჯერ კიდევ შარშან დაიწყო მზადება. სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. საწარმოთა კოლექტივებმა გადიდებული ვალდებულებები იკისრეს და თავდადებით შრომობენ მათი პირნათლად განაღდებისათვის.

რესპუბლიკის მრეწველობის მოწინავე დარგების მსარდამხარ გაბედულად მიიწევს წინ კვების მრეწველობაც. სასიხარულოა აღინიშნოს, რომ ოქტომბრის დიდ ეიმს და კვების მრეწველობის მუშაკის დღეს საამაყო მაჩვენებლებით ეგებებით.

რესპუბლიკის კვების მრეწველობის საწარმოებმა საიუბილეო წლის ცხრა თვის განმავლობაში 104 პროცენტით შეასრულეს. მნიშვნელოვნად ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება, დაგეგმილმა მოგებამ 203 ათასი მანეთი შეადგინა.

ბევრი რამ გაკეთდა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და ასორტიმენტის გაფართოებისათვის. მარტო საიუბილეო წელს ათვიათებულია და წარმოებაში დაინერგა 50-მდე სახეობის კვების პროდუქტები. რესპუბლიკის სამრეწველო წარმოების საერთო პროდუქციაში კვების მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წონა ანგარიშინდ გაიზარდა. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად უკეთესი გახდა მისი გარეგნული გაფორმებაც. ამაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ ჩარშანდელთან შედარებით პროდუქციის რეალიზაცია გაიზარდა 30 პროცენტით.

ჩვენი მრეწველობის პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილებაა არა მარტო რესპუბლიკის მოსახლეობაში, არამედ მოძმე რესპუბლიკებში და საზღვარგარეთაც. ახლა საქართველოს კვების მრეწველობის პროდუქცია გაგზავნება საზღვარგარეთის 24 ქვეყანაში, მათ შორის ისეთ დიდ სახელმწიფოებში როგორიც არის ინგლისი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ამერიკის შეერთებული შტატები, უნგრეთი, პოლონეთი, საფრანგეთი, იუგოსლავია, იტალია და სხვ.

ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში გაფართოვდა და განმტკიცდა კვების მრეწველობის ტექნიკური ბაზა. ამენდა და მწყობრში ჩადგა რამდენიმე ახალი რაიონ ფაბრიკა, ღვინისა და ჟურის ქარხნები, უალკოჰოლო სასმელების საწარმო, საკონსერვო ქარხნები და სხვ.

დიდი მუშაობაა გაწეული ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის საქმეში, შრომატევადი პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციისათვის.

საქართველო სამართლიანად ამაყობს ჩაით, სახელგანთქმული ღვინოებითა და კონიაკებით. მათ დიდი ავტორიტეტი მოიპოვეს საერთაშორისო კონკურსებსა და გამოფენებზე. ამაზე ნათლად მეტყველებს ბრავალი ოქროსა და ვერცხლის მედალი, რომლებიც ჩვენმა სამაკრო ღვინოებმა და კონიაკებმა მიიღეს.

უკანასკნელ პერიოდში მკვეთრად გაუმჯობესდა საკონდიტრო მრეწველობის პროდუქციის ხარისხი. სიამაყით უნდა აღვნიშნოთ, რომ ახლა ამ დარგში ჩვენი ქვეყნის მოწინავე საწარმოებს არ ჩამოვრჩებიან. გაფართოვდა და გამდიდრდა პურ-ფუნთუშეულის ასორტიმენტი.

წარმატებები მცირე როდი გვაქვს, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ზოგიერთი ნაკლიც, რომელიც ჩვენს მუშაობას

ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐᲜ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ

ᲬᲔᲚᲡ, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საიუბილეო წელს განსაკუთრებით მდიდარი და მრავალფეროვანია რედაქციის „პოეტური ფოსტა“. ყოველდღიურად რედაქციაში მოდის მკითხველთა მრავალი ლექსი, რომელთა ავტორები არიან ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების მუშები, საკოლმეურნეო მინდვრის მშრომელები, სახალხო მოქმედები, მასწავლებლები, სტუდენტები, მოსწავლეები და სხვ. ისინი ცდილობენ ლექსად გამოთქვან თავიანთი გულისნადები — უმღერონ დიად ოქტომბერს, მის შემოქმედს ვ. ი. ლენინს, ჩვენი ხალხის გმირულ შრომასა და ბრძოლას, ხალხთა მეგობრობას, მშვიდობას, ადამიანურ სიკეთესა და ბედნიერებას.

ქვემოთ ვბეჭდავთ რამდენიმე ლექსს რედაქციის „პოეტური ფოსტიდან“.

□ □

ᲩᲔᲛᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ

მიწას ალაღებს სიოხვე ფერთა,
გული ირხევა სიმღერის ტალღით.
რაც მახსოვს, ამ გზით მოდიან ერთად
ჩვენი პარტია და ჩვენი ხალხი.

რაც მახსოვს, ისე ვმაღლდებით მზისკენ,
რომ ახლა თვით მის კარობჭეს ვწვდებით,
შუქად შევენთეთ ზენიტის სივრცეს
და ვარსკვლავებში შევმართეთ მხრები.

დიდი ხანია, დიდი ხანია,
რაც ჯამოვშორდით ვიწრო ბილიკებს,
და ახლა უფრო ის მიხარია,
რომ სულში ელავს კომუნიზმის მზე.

ვარ შენი ჯოლის ერთი ნაწილი,
შენი მღელვარე ძარღვი პატარა,
შენს ტკბილ დღეს ვიცავ ჯარისკაცივით,
შენთვის სიცოცხლით მუდამ მზადა ვარ...

დ. ᲑᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ,
ორჯონიკიძის რაიონი, სოფელი ხიდარი.

ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲘ ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡᲢᲘ ᲕᲐᲠ

ფშაველი ტრაქტორისტი ვარ
ბულდოზერს დავაგუგუნებ,
მთა-გორებთანა ვჭიდაობ
ლომა ხარივით ვბუბუნებ.

არაგვის ჭალას გაგკვივი,
მიწას მკერდს ვუკვეთ რქებითა,
ვამშვენებ ამ ჩემს ხეობას
ლამაზი შარაგზებითა...

ვიცი, რომ შრომით ფასდება
სიკეთე ქვეყანაშია,
კაცს ის ალაღებს და მადლიც
შრომას შეაქვს სახლშია.

შრომა ამშვენებს ვაკაცსა,
აქვს ღირსება ხალხშია,
შრომაა დიდი გმირობა
ოქტომბრის ეპოქაშია.

ფშავში მყავს ტოლი გულისა
ლამაზი, როგორც მაისი,
მის სიყვარულით ჩემს გულში
ადუღდა შრომის ხალისი.

ვშრომობ მამაცად, არაგვზე
ბულდოზერს დავაგუგუნებ,
მთა-გორებთანა ვჭიდაობ
ლომა ხარივით ვბუბუნებ.

ნ. ᲑᲣᲚᲐᲚᲐᲣᲠᲘ,
დუშეთის რაიონი, სოფელი ინო.

ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ ᲒᲐᲕᲐᲜᲐᲮᲔᲕᲠᲔᲗ

ჩვენს გულში ახლა გაზაფხულია,
ეს დიდი წელი სხვა წელს არა ჰგავს:
კომუნიზმის გზა გაკეთებულია
და ვიხეიდებით დროის გადაღმა.

დღეს საუკუნე გავანახევრეთ,
სასიხარულოდ რკინ ზარები:
ციურ მნათობთა გადასახედზე
ლაინერებით მივემგზავრებით.

თვალს წარიტაცებს საქმე კაცური,
ზღვის სითამამით სუნთქავს ხმელეთი,
ცამდე აიყვანს, ცამდე აიყვანს
ოქტომბრის სითბოს მუშის ხელები.

ე. ᲡᲣᲚᲗᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
ქ. რუსთავი.

ᲥᲣᲠᲜᲐᲚ „ᲓᲘᲚᲐᲡ“ — ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ

ᲐᲛᲐᲡ წინათ ლიტვის პატარა ზღვისპირა დაბა ნიდაში საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით მოეწყო საყმაწვილო ჟურნალების მთავარი რედაქტორებისა და სამხატვრო რედაქტორების საკავშირო შეკრება, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს მიეძღვნა.

შეკრებაზე განიხილეს ყველა საბავშვო ჟურნალი. საკუთარ ჟურნალებზე ვრცელი ინფორმაციებით გამოვიდნენ მთავარი რედაქტორები, პასუხისმგებელი მდივნები და სამხატვრო რედაქტორები. ყოველ ჟურნალს ჰყავდა ოპონენტები სხვა ჟურნალიდან (რედაქტორი და მხატვარი), რომლებიც დაწვრილებით ლაპარაკობდნენ ჟურნალში დაბეჭდილ მასალაზე და მხატვრულ გაფორმებაზე.

შეკრებაზე მოეწყო საბავშვო ჟურნალების გამოფენა და კონკურსი საუკეთესო მხატვრული გაფორმებისათვის დახურული კენჭისყრით. საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრემია და ფულადი ჯილდო საუკეთესო მხატვრული გაფორმებისათვის, ლიტვურ და ესტონურ ჟურნალებთან ერთად მიიღო ქართულმა ჟურნალმა „დილამ“.

შეკრების დასასრულს სიტყვებით გამოვიდნენ მწერალი ზოია ეოზნესენსკაია და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი თამარ კუცენკო.

ᲯᲘᲚᲓᲝᲓ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲡᲐᲒᲖᲣᲠᲔᲑᲘ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ რაიონის თხილნარის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის მუშები კარგ შრომასთან ერთად შინაარსიანადაც ისვენებენ. ტურისტული საგზურებით მეურნეობის კოლექტივმა დაჯილდოვა მოწინავე ბრიგადირი ი. მეკვანაძე და პარტბიუროს მდივანი რ. დუმბერიძე, რომლებიც იმოგზაურებენ მარშრუტით: როსტოვი-კიევი-მინსკი-ვილნიუსი-რიგა-ტალინი-ლენინგრადი-მოსკოვი.

ნ. ᲥᲐᲗᲐᲛᲐᲫᲔ.

15 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ ᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲚᲘ ᲛᲝᲥᲐᲜᲓᲐᲙᲘᲡ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲐᲠᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ, 14 ოქტომბერს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების შენობაში გაიხსნა პოლონელი მოქანდაკის, პროფესორ სტანისლავ გორნო-პოპლავსკის ნამუშევრების გამოფენა. გამოფენა მოაწყეს სსრ კავშირის მხატვართა კავშირმა, რესპუბლიკის მხატვართა კავშირმა, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების სახვითი ხელოვნების სექციამ.

პოლონელი მოქანდაკის სტანისლავ გორნო-პოპლავსკის ნამუშევრების ფერსონალური გამოფენა პირველად ეწყობა ჩვენს რესპუბლიკაში და საერთოდ საბჭოთა კავშირში. პოლონელი მხატვრის ცხოვრება დაკავშირებულია საქართველოსთან. ის დაიბადა 1902 წელს ქალაქ ქუთაისში. აქ გაატარა ბავშვობისა და ჭაბუკობის წლები. პოპლავსკი კარგად იცნობს ჩვენს კულტურას, ხელოვნებას, მხატვრობას, ლიტერატურას. ამიტომაც არის, რომ მის შემოქმედებაში მძლავრად იგრძნობა საქართველოს, კავკასიის გავლენა. ამაზე მეტყველებს თუნდაც აქ, გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრები — შოთა რუსთაველის სიმბოლური პორტრეტი, რომელიც ავტორმა გასულ წელს შექმნა რუსთაველის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, აგრეთვე ქალის პორტრეტი, შამილის ბიუსტი.

სტანისლავ გორნო-პოპლავსკის ნამუშევრების გამოფენის გახსნაზე შეიკრიბნენ თბილისის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მუშაკები, ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლები, მხატვრები, ხელოვნებათმცოდნეები, ახალგაზრდობა. აქვე თვით ამ ნამუშევრების ავტორი, რომელიც თავის მეუღლესთან ერთად ჩამოვიდა თბილისში.

გამოფენას ხსნის საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი ე. მემმარიაშვილი. ძვირფას სტუმარს მიესალმება საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების სახვითი ხელოვნების სექციის პრეზიდენტი, საქართველოს სახალხო მხატვარი ლ. გუდიაშვილი.

— პოპლავსკი თავის შემოქმედებაში, — აღნიშნავს იგი, — უპირველეს ყოვლისა დიდ ადგილს უთმობს მხატვრულ აზროვნებას. ამ მძლავრ ელემენტს იგი ჰარმონიულად უკავშირებს პირობითობას, მაღალ პლასტიკურ თვისებებს ქანდაკებაში, რითაც აღწევს დიდ ოსტატობას. იგი დიდ ადგილს უთმობს მასალის დამუშავებას და ფაქტურის გამოვლინებას. პოპლავსკი ახალი თანამედროვე ესთეტიკური მშვენიერების მომფერალი და მძიმე ქვის გაცოცხლების ბრწყინვალე ოსტატია.

ძვირფას სტუმარს მისასალმებელი სიტყვით მიმართა სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა უ. ჯაფარიძემ. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ურუშაძემ მადლობა გადაუხადა მხატვარს იმ ძვირფასი საჩუქრისათვის, რომელიც მან თბილისისა და ქუთაისის მშრომელებს უძღვნა. ეს არის დიდი პოლონელი კომპოზიტორის ფრედერიკ შოპენისა და ქალიშვილის სკულპტურული პორტრეტები.

სტანისლავ გორნო-პოპლავსკიმ თავის სიტყვაში დიდი მადლობა გადაუხადა თბილისის საზოგადოებრიობას გულთბილი მიღებისათვის.

იწყება გამოფენის დათვალიერება. პოპლავსკის ნამუშევრები გამოფენილია ერთი მხრივ ღია ტერასზე და მეორე მხრივ საზოგადოების დარბაზში. მნახველთა თვალწინ წარმოსდგა პოლონელი მოქანდაკის სხვადასხვა სტილის სკულპტურული პორტრეტები. აქ არის რეალისტური, აგრეთვე მოქანდაკის ინდივიდუალური ჭვრეტით აღქმული სკულპტურული ნამუშევრები. ფართოდ არის წარმოდგენილი გრაფიკა. გამოფენა თბილისში ერთ თვამდე გასტანს. შემდეგ კი მისი დემონსტრირება მოხდება ქუთაისში.

გამოფენის გახსნას დაესწრნენ საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის მდივანი ე. სალუქვაძე, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ა. გიგოშვილი, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ო. თაქთაქიშვილი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ი. ურუშაძე.

ლ. ᲮᲣᲑᲣᲚᲣᲠᲘ.

ᲜᲐᲘᲠ-ᲜᲐᲘᲠᲘ

ᲗᲔᲕᲖᲘᲡ ᲑᲐᲠᲐᲥᲐ

ᲗᲘᲠᲐᲯᲚᲝᲚᲐ. (საკ. კორ.). ორი წლის წინათ აქ კარგი საქმე წამოიწყეს. მეფრინველეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმასთან, მდინარე ძვრულაზე მოეწყო თევზის სატბორო მეურნეობა. გამდინარე ტბორში, რომელსაც რვა ჰექტარი უჭირავს, იმხანად 30.000 ცალი სარკისებრი კობრის ლიფსიტა ჩაუშვეს.

გასული წლის შემოდგომაზე ტბორიდან ამოიყვანეს რვა ტონა ცოცხალი თევზი, რომელიც თერჯოლისა და ზესტაფონის მშრომელებს მიეყიდა. მეურნეობამ მაშინ 2.500 მანეთი წმინდა მოგება მიიღო.

ტბორში კვლავ ჩაუშვეს 300 კილოგრამი ლიფსიტა, რომლებიც კარგად იკვებებიან და სწრაფად იზრდებიან. თვითეულის წონა 400-500 გრამს უდრის.

სატბორო მეურნეობის კოლექტივის ვალდებულებაა ღირსეულად შეხვდეს ოქტომბრის 50 წლისთავს, საიუბილეო სუფრის დასამშვენებლად თერჯოლისა და ზესტაფონის მშრომელებს მიაწოდოს სულ მცირე 14 ტონა ახალი თევზი.

„ᲤᲠᲘᲜᲕᲔᲚᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ“

ᲡᲐᲠᲬᲛᲘᲡ. (საკ. კორ.). სოფელ სავანეში შენდება მეფრინველეობის ფაბრიკა, რომელიც საიუბილეო წელს უნდა დამთავრდეს. აქ იქნება მეფრინველეთა ნამდვილი ქალაქი, რომელიც 50 ჰექტარს დაიჭერს.

მშენებლობაზე მუშაობენ ჭიათურმშენის სამმართველოს, სამონტაჟო სამმართველოების, საჩხერის კოლმეურნეობათა ბრიგადები.

ფაბრიკის მშენებლობის პირველი რიგი წელს უნდა დამთავრდეს. 1968 წელს მშრომელები მიიღებენ ას ტონა ხორცს და 3,5 მილიონ ცალ კვერცხს. ხოლო როცა ფაბრიკა მთლიანად დამთავრდება, მისი პროდუქცია გაორკეცდება.

ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲗᲝ ᲡᲣᲤᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲓᲦᲔᲡ კვების მრეწველობის მუშაკთა დღეა. ჩვენს რესპუბლიკაში შექმნილია კვების მძლავრი ინდუსტრია: ჩაის ფაბრიკები და მეღვინეობის საწარმოები, სარძეო ქარხნები, ხორცკომბინატები და პირველხარისხოვანი ტექნიკით აღჭურვილი ბევრი სხვა წარმოება.

წელს კვების მრეწველობის მუშაკთა დღე აღინიშნება ჩვენი სახელმწიფოს 50 წლისთავის წინადღეებში. ამიტომ ჩვენი რესპუბლიკის კვების მრეწველობის მუშაკები ახლა გაორკეცებული ენერგიით შრომობენ.

ბევრი საწარმო წარმატებით, ვადამდე ასრულებს გეგმებს, უშვებს ზეგეგმითს საიუბილეო პროდუქციას.

კვების მრეწველობის მუშაკთა დღესასწაულის წინადღეს ჩვენი კორესპონდენტი იყო რესპუბლიკის ორ მოწინავე საწარმოში: თბილისის კონიაკის ქარხანასა და საკონდიტრო კომბინატში. კონიაკის ქარხანა კომუნისტური შრომის საწარმოა. უკანასკნელ წლებში აქ აითვისეს ახალი მარკების კონიაკების გამოშვება. საიუბილეო სუფრისათვის მზადდება ორმოცდაათი წლის კონიაკის ჩამოსხმა განსაკუთრებით გაფორმებულ ჭურჭელში. ბევრ საიუბილეო პროდუქციას — საიუბილეო შოკოლადს, ახალ კამფეტს ამზადებენ საკონდიტრო კომბინატში.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ზემოდან — კონიაკის მოწინავე ჩამომსხმელები, კომუნისტური შრომის დამკვრელები (მარცხნიდან) რ. მუნჯიაშვილი, ც. მაგრაქველიძე, ი. ბუჯიაშვილი, გ. უვანია და ც. არაბული; ქვემოთ — საკონდიტრო კომბინატის შემფუთავი ლ. ყურაშვილი (მარცხნივ) და ბრიგადირი დ. ფავლენიშვილი მუშაობენ საიუბილეო პროდუქციის შეფუთვაზე.

ტექსტი და ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ᲡᲐᲥᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲠᲘᲡᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲡᲢᲐᲠᲢᲖᲔ

ᲙᲐᲣᲜᲐᲡᲨᲘ დაიწყო სსრ კავშირის ჩემპიონატის ფინალური ტურნირი ხელბურთში. ასპარეზობაში გამოდის ექვსი კოლექტივი. ესენია: „კუნცევო“ (მოსკოვი), „ბურევესტნიკი“ (თბილისი), „დაუგავა“ (რიგა), სკა (ლვოვი), მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი და „პოლიტეხნიკი“ (მინსკი).

შეჯიბრების პირველ დღეს წაიბრძოლეს ლიდერმა — მოსკოვის „კუნცევომ“. საავიაციო ინსტიტუტის გუნდმა პირველი დამარცხება აგება ჩემპიონს — 21:12. რიგის „დაუგავამ“ მოუგო მინსკის „პოლიტეხნიკს“ — 22:15. თბილისის „ბურევესტნიკმა“ მძიმე ბრძოლაში შეძლო ლვოვის არმიელთა წინააღმდეგობის დაძლევა და გაიმარჯვა — 27:24 (13:11).

დღეისათვის ლიდერებს მოსკოვის „კუნცევოსა“ და თბილისის „ბურევესტნიკს“ ოც-ოცი ქულა აქვთ.

ᲤᲘᲜᲘᲨᲘ ᲕᲘᲜᲘᲐᲞᲔᲒᲨᲘ

ᲙᲐᲜᲐᲓᲘᲡ ქალაქ ვინიპეგში დამთავრდა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. ფინიშზე ბ. ლარსენმა (დანია) დაამარცხა ა. მატანოვიჩი (იუგოსლავია) და ფ. გიორგიუ (რუმინეთი), კ. დარგამ (აფრ) მოუგო შ. კოგანს (ისრაელი) და ყაიმი გააკეთა ბ. სპასკისთან. ორი უკანასკნელი ტურის სხვა შეხვედრები ყაიმით აღინიშნა.

ტურნირში პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს ბ. ლარსენმა და ა. დერბაშმ — 6-6 ქულა (9-დან), პ. კერესმა და ბ. სპასკიმ 5,5-5,5 ქულა მოაგროვეს. პ. ბენქოს (აშშ) — 5 ქულა აქვს.

ᲛᲐᲢᲩᲘ ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ

ᲑᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ შეხვედრა სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის მეორე ჯგუფის გუნდებისათვის. ბათუმის „დინამომ“ თავის მოედანზე წააგო მატჩი ეროვნულ „დინამოსთან“ — 0:2.

ᲛᲐᲢᲩᲘ ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ

ᲑᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ შეხვედრა სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის მეორე ჯგუფის გუნდებისათვის. ბათუმის „დინამომ“ თავის მოედანზე წააგო მატჩი ეროვნულ „დინამოსთან“ — 0:2.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ — ᲛᲘᲜᲡᲙᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ 0:2
ᲠᲘᲒᲐ — „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ — ᲚᲕᲝᲕᲘᲡ „ᲡᲙᲐ“ 0:2
ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ — „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ — ᲛᲘᲜᲡᲙᲘᲡ „ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲮᲜᲘᲙᲘ“ 2:0
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ — „ᲑᲣᲠᲔᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘ“ — ᲙᲣᲜᲪᲔᲕᲝᲡ „ᲙᲣᲜᲪᲔᲕᲝ“ 2:0
ᲠᲘᲒᲐ — „ᲓᲐᲣᲒᲐᲕᲐ“ — ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ „ᲙᲣᲜᲪᲔᲕᲝ“ 2:0

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

„ᲐᲐ“ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ 15 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

	თ.	Მ.	Მ.	წ.	ბ.	ქ.
„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (მ.)	29	17	11	1	50-16	45
„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (ს.)	27	15	10	2	41-10	40
„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (თბ.)	29	12	11	6	37-25	35
„დინამო“ (მნ.)	28	10	13	5	38-25	33
„ᲨᲐᲮᲢᲐᲛᲘᲠᲘ“	29	11	11	7	37-35	33
„ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ“	28	11	10	7	33-24	32
„ᲜᲔᲤᲢᲩᲘᲜᲔᲚᲘ“	27	11	8	8	41-28	30
„ᲐᲠᲐᲠᲐᲢᲘ“	28	11	8	9	32-27	30
ცსკა	28	9	10	9	27-30	28
„ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ“ (მ.)	27	11	5	11	31-36	27
„კრ. სოვეტოვ.“	28	6	14	8	20-21	26
სკა	29	10	6	13	27-35	26
„ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ“ (ქ.)	29	7	10	12	29-42	24
„ᲞᲐᲮᲢᲐᲙᲝᲠᲘ“	29	4	15	10	28-37	23
„ᲙᲘᲠᲩᲘᲡᲘ“	29	7	9	13	21-41	23
„ᲖᲐᲠᲘᲐ“	28	6	10	12	20-32	22
„ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ“	28	6	9	13	23-30	21
„ᲩᲔᲠᲜᲝᲛᲝᲠᲔᲪᲘ“	28	6	8	14	18-33	20
„ᲖᲔᲜᲘᲗᲘ“	28	6	6	16	21-47	18

ᲡᲐᲖᲝᲜᲐᲗᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲗᲔᲥᲕᲡᲛᲔᲢ ოქტომბერს ტონისის პატარა ქალაქ სუსში (დაახლოებით 50 ათასი მცხოვრები), რომელიც დედაქალაქის სამხრეთით 150 კილომეტრზე მდებარეობს, დაიწყება მიმდინარე წლის უდიდესი საჭადრაკო ასპარეზობა — საზონთაშორისო ტურნირი.

ტურნირი ერთ თვეზე მეტ ხანს გასტანს. აქ ზონალური ტურნირების ოცდაოთხ გამარჯვებულს შორის გამოვლინდება ექვსი საუკეთესო, რომლებიც საბჭოთა გროსმაისტერებთან ბორის სპასკისთან და მიხეილ ტალთან ერთად იბრძოლებენ მსოფლიოს ჩემპიონის პრეტენდენტობისათვის.

საზონთაშორისო ტურნირის შემადგენლობა მეტად ძლიერია, საკმარისია დავასახელოთ საბჭოთა გროსმაისტერები ლეონიდ შტეინი, ეფიმ გელერი, ვიქტორ კორჩნოი, აივარ გიპლისი, ამერიკელები რობერტ ფიშერი და სამუელ რეშევსკი, დანიელი ბენტ ლარსენი, იუგოსლავიელები ბორისლავ ივკოვი, სვეტოზარ გლიგორიჩი, მილან მატულოვიჩი, ალექსანდრე მატანოვიჩი, უნგრელები ლაიოშ პორტიში, იშტვან ბილეკი, გედეონ ბარცა და სხვ. ინტერესს იწვევს 15 წლის ბრაზილიელი ენრიკე მეკინგის გამოსვლა.

ასპარეზობის რეგლამენტი ასეთია. ტურები მოეწყობა ყოველდღე გარდა ორშაბათისა და პარასკევისა, 19-დან 24 საათამდე თბილისის დროით. გადადებული პარტიების დამთავრება მოეწყობა დილაობით, იგრეთვე პარასკევსა და ორშაბათს. გარდა ამისა ორშაბათობით თამაშებენ გამოტოვებულ პარტიებს.

დღეს მოეწყობა წოლილყრა.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

„ᲐᲐ“ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ 15 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

	თ.	Მ.	Მ.	წ.	ბ.	ქ.
„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (მ.)	29	17	11	1	50-16	45
„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (ს.)	27	15	10	2	41-10	40
„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (თბ.)	29	12	11	6	37-25	35
„დინამო“ (მნ.)	28	10	13	5	38-25	33
„ᲨᲐᲮᲢᲐᲛᲘᲠᲘ“	29	11	11	7	37-35	33
„ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ“	28	11	10	7	33-24	32
„ᲜᲔᲤᲢᲩᲘᲜᲔᲚᲘ“	27	11	8	8	41-28	30
„ᲐᲠᲐᲠᲐᲢᲘ“	28	11	8	9	32-27	30
ცსკა	28	9	10	9	27-30	28
„ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ“ (მ.)	27	11	5	11	31-36	27
„კრ. სოვეტოვ.“	28	6	14	8	20-21	26
სკა	29	10	6	13	27-35	26
„ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ“ (ქ.)	29	7	10	12	29-42	24
„ᲞᲐᲮᲢᲐᲙᲝᲠᲘ“	29	4	15	10	28-37	23
„ᲙᲘᲠᲩᲘᲡᲘ“	29	7	9	13	21-41	23
„ᲖᲐᲠᲘᲐ“	28	6	10	12	20-32	22
„ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ“	28	6	9	13	23-30	21
„ᲩᲔᲠᲜᲝᲛᲝᲠᲔᲪᲘ“	28	6	8	14	18-33	20
„ᲖᲔᲜᲘᲗᲘ“	28	6	6	16	21-47	18

ᲑᲝᲚᲝ ᲡᲕᲔᲢᲐᲯᲔ

ᲥᲐᲠᲘ ᲓᲐᲘᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲡ

ᲙᲐᲡᲞᲘᲘᲡ ზღვის ქარი, რომელიც ზოგჯერ დიდ დავიდარაბას უქმნიდა ზღვის მენავეობებს, ახლა სარგებლობას მოუტანს ხალხს.

აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის ენერგიის გარდაქმნის ლაბორატორიაში შეიმუშავეს მეთოდი. ამ მეთოდით ქარის ძალას იყენებენ ცალკეული საზღვაო ნავთობის ნაგებობათა კოროზიისაგან კეთოდური დაცვისათვის. ამ მეთოდის საშუალებით შეიძლება ვაწარმოოთ მუდმივი დენი, რომელიც საჭიროა კათოდური დაცვისათვის. ამჟამად ამ მიზნით ზღვაში აგებენ სპეციალურ ქვესადგურებს და აქედან მრავალ კილომეტრზე ეიმავენ მავთულებს პატარა კუნძულების ფოლადის ხიმინჯებისაკენ.

ᲝᲪᲘ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ...

ᲨᲘᲠᲘᲡᲣᲚ აღმოსავლეთში ცნობილ სსრ კავშირის გეოგრაფიული საზოგადოების სახელობის გამოქვაბულთა მეცნიერებმა იპოვეს ქვის ხანის ადამიანის იარაღი, როგორც ვარაუდობენ, აქ ნაპპოვნი კაცის საფხეკი დაახლოებით ოცი ათასი წლისა უნდა იყოს.

პალეოლითის ხანაში მცხოვრები ადამიანის იარაღი იმოვეს მღვიმეში, რომელიც, მეცნიერთა აზრით, უფრო საცხოვრებელს ჰგავს და კარგი საფარი იყო ბარეული მხეცებისაგან თავის დასაცავად.

(საკ. კორ.).

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-93 03, 9-03-09, პ/მგ მდივნის — 9-72-80 სამდივნოსი — 9 66-10 განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61 პროპაგანდის — 8-22-93, მრეწველობის — 3-20 34, სოფლის მეურნეობის — 9 52-46, საბჭოთა მშენებლობის — 3-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27-58 ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 8-16-90, წერილების — 9-73-24 ილუსტრაციის — 8-28-54, განცხადებების — 3-93-96.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЭ 03397

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ᲕᲘᲜ ᲘᲪᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ?

ᲠᲝᲒᲝᲠ თუ ვინ? რა თქმა უნდა ჟურნალისტებმა. სწორედ ისინი აწვდიან ყოველ დღე უამრავ ინფორმაციას ჟურნალ-გაზეთებს, ისინი გვაცნობინებენ, თუ რა ხდება მსოფლიოში, ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს ქალაქში. სტატისტიკოსები ამბობენ, რომ ყოველ 8 წელიწადში კაცობრიობა აორმაგებს თავის ცოდნას. როგორც ჩანს, ამ საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვით ჟურნალისტებსაც, რომელთა პროფესიაა რაც შეიძლება სწრაფად გაუზიარონ სხვებს ყოველივე, რასაც კი გაიგებენ.

„თუ შეგხვდათ კაცი — ცარცივით თეთრი, ისეთი გამხდარი, ისეთი თხელი, რომ სიფრფანა გაზეთის გვერდი მასთან სქელი ჩანს... ნურც დაფიქრდებით, იცოდეთ თქვენს წინ ჟურნალისტი ან რედაქტორია“, — წერდა ვლადიმერ მაიაკოვსკი.

„მეთხუთმეტმა რომ იცოდეს რა ძნელი საქმეა წერა, იგი ჟურნალისტს მეტ პატივს სცემდა, ვიდრე გაზეთის გამყიდველს“, — ბნეს აძლევს მაიაკოვსკის მარტი ლარნი.

რა თქმა უნდა, ეს ხუმრობაა, მაგრამ მაინც რა არის ჟურნალისტის პროფესია? ყველას აჯობებს ეს გაიგოთ (რასაკვირველია თუ არ გავითვალისწინებთ პირად გამოცდილებას) ჟურნალიდან, რომელსაც ეწოდება „ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ“.

„ჟურნალისტი“ ძალიან ბევრ საკითხს აშუქებს. ეს გასაგებია: პროფესიის ხასიათი განსაზღვრავს როგორც ინტერესებს. ისე შეხედულებათა მრავალფეროვნებას. საინტერესოა, რომ „ჟურნალისტის“ ერთ-ერთ ანკეტაზე მიღებული 1.000 პასუხიდან 567 გამოგზავნეს არაჟურნალისტებმა. მაშასადამე, სულ სხვადასხვა პროფესიის მ